RDFG
for a better future

საინფორმაციო ბიულეტენი - ნოემბერი 2019

გვ. 2-3

დაარსდა 'საერთაშორისო ქსელი – რეგიონული განვითარება მომავლისთვის'; სერბეთი ერთ-ერთია იმ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათაგან, რომელშიც RDFG-ის გამოცდილების გაზიარებით, ანალოგიური ორგანიზაცია იქმნება.

გვ. 3-4

RDFG-იმ და თეთრიწყაროს LAG-მა მონაწილეობა მიიღეს ევროპის სამხარეო პარლამენტში **2019**

გვ. 5-6

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის ბანაკი ქალაქ ყვარელში გაიმართა

გვ. 6-7

ქალაქ ბათუმს ახალი სახანძრო კიბე გადაეცემა

გვ. 7

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, RDFG ახალი ნაკადის მიღებას აცხადებს

გვ. 8

RDFG-ისა და მასთან არსებული DRR ცენტრის ორგანიზებით, შეხვედრები გაიმართა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლებთან

დაარსდა 'საერთაშორისო ქსელი – რეგიონული განვითარება მომავლისთვის'; სერბეთი ერთ-ერთია იმ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათაგან, რომელშიც RDFG-ის გამოცდილების გაზიარებით, ანალოგიური ორგანიზაცია იქმნება

ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) წარმატებული გამოცდილება და მიღწევები სულ უფრო მიმზიდველი ხდება აღმოსავლეთ ევროპის განვითარებადი ქვეყნებისთვის. რადგან სოციო-ეკონომიკური განვითარება და ადგილობრივი მთავრობისა და თვითმმართველობის ორგანოების მხარდაჭერა წარმატებული მართვის სისტემებისა და მეთოდოლოგიების დანერგვაში მნიშვნელოვანია სერბეთისთვის, სერბეთმა RDFG-ის წარმატებული პროგრამებისადმი დაინტერესება გამოხატა. სწორედ ამიტომ, RDFG-ის გუნდმა სერბ კოლეგებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან განვითარებასა და ჰუმანიტარულ დახმარებაზე ორიენტირებული ანალოგიური ორგანიზაციის დაარსებით სერბეთში, თავისი ცოდნა და მნიშვნელოვანი მიღწევები გაუზიარა.

ჩვენი ორგანიზაცია აგრძელებს მუშაობას საერთაშორისო ქსელის – რეგიონული განვითარების მომავლისთვის (RDFI) შექმნაზე, რომელიც მიზნად ისახავს RDFG-ის მოდელზე დაყრდნობით, სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და ადგილობრივი თემის თვით-მედეგობის გაძლიერებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნულზე მუშაობა მიმდინარეობს აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, სადაც RDFG-ის გამოცდილების გაზიარების გზით, საფუძველი ეყრება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამ ეტაპზე, პროცესში ჩართულია უკრაინა (RDFU), სერბეთი (RDFS) და რუმინეთი (RDFR).

2019 წლის 25-26 ოქტომბერს, RDFG-ის თავმჯდომარე, ვანო გრიგოლაშვილი და ამავე ორგანიზაციის წარმომადგენელი შოთა კუბლაშვილი სერბეთში იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში, მათ ადგილობრივ პარტნიორებს RDFG-ის გამოცდილება გაუზიარეს და მონაწილეობა მიიღეს ახალი არასამთავრობო ორგანიზაციის, რეგიონული განვითარება მომავალი სერბეთისთვის (RDFS) დაფუძნებისათვის მიმდინარე სამუშაოებში. სამუშაო შეხვედრას დაესწრო სერბეთის რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, ილია კობერიძე, რომელიც მიესალმა აღნიშნულ ინიციატივას, სრული მზადყოფნა გამოთქვა სამომავლო თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ RDFG-ის ანალოგი ორგანიზაციის დაარსება სერბეთში ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავებას.

ვიზიტის ფარგლებში, RDFG-ის წარმომადგენლებმა RDFS-ის თანადამფუძნებლებთან – დუშან კოსტიჩსა და ანია რანდელოვიჩთან ერთად, სადამფუძნებლო დოკუმენტაციაზე, ორგანიზაციის წესდებაზე, პოლიტიკის დოკუმენტსა და თანამშრომლობის პრინციპებზე იმუშავეს.

RDFI-ის საფუძველი 2018 წელს, რეგიონული განვითარება მომავალი უკრაინისთვის (RDFU) დაარსების შედეგად ჩაეყარა. ორგანიზაციამ უკვე შეისწავლა RDFG-ის საქმიანობა და სხვადასხვა აქტივობას მათზე დაყრდნობით ახორციელებს. რაც შეეხება სერბეთს, RDFS სულ მალე დაიწყებს მუშაობას. საბოლოო ჯამში, საერთაშორისო ქსელის – რეგიონული განვითარება მომავლისთვის (RDFI) მუშაობა ორიენტირებული იქნება მოიზიდოს კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული და ეკონომიკური პრობლემების მქონე ქვეყნები.

ასოციაცია სამხარეო/რეგიონული განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) არის განვითარებასა და ჰუმანიტარული დახმარებაზე ორიენტირებული არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც 2010 წელს დაარსდა და მიზნად ისახავს მოწყვლადი თემების დახმარებას სოციო-ეკონომიკურ განვითარებასა და მათი თვით-მედეგობის გაძლიერებაში. RDFG ასევე ტექნიკურ დახმარებას უწევს ადგილობრივ მთავრობას და თვითმმართველობის ორგანოებს წარმატებული მართვის სისტემებისა და მეთოდოლოგიების დანერგვასა და განვითარებაში.

RDFG მუშაობს საზოგადოების მოწყვლად ჯგუფებთან, რათა უზრუნველყოს სერვისებსა და შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული არაპრივილეგირებული ჯგუფების ჩართულობასა და უფლებების დაცვას. RDFG მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: სოციო-ეკონომიკური განვითარება, მშვიდობის მშენებლობა, საგანგებო სიტუაციების მართვა, მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, გენდერული თანასწორობა, ახალგაზრდების ჩართულობა და ინოვაცია. ორგანზიაციის მისიაა დაიცვას და პატივი სცეს ადამიანთა ღირსებას ყოველგვარი მიკერძოებისა და დისკრიმინაციის გარეშე, რასაც მდგრადი თემისა და პასუხისმგებლიანი მთავრობის არსებობით მიაღწევს.

RDFG-იმ და თეთრიწყაროს LAG-მა მონაწილეობა მიიღეს ევროპის სამხარეო პარლამენტში 2019

2019 წლის 6-9 ნოემბერს, ესპანეთის სოფელ კანდასში (ასტურიასი), ევროპის მეოთხე სამხარეო პარლამენტი გაიმართა. ღონისძიებას დაესწრო 40 ქვეყნის 335 დელეგატი, მათ შორის ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) წარმომადგენლები და თეთრიწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) აღმასრულებელი დირექტორი ნინო ტიკურიშვილი. ღონისძიების ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ სამხარეო პრობლემებსა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე საკუთარი გამოცდილება და ცოდნა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ. ევროპის სამხარეო პარლამენტი არის ხანგრძლივი კამპანია შექმნილი ევროპაში სოფლად მცხოვრები ადამიანების აზრის გამოხატვის მიზნით; ის ხელს უწყობს სოფლად მცხოვრები ადამიანების თვითმედეგობის გაძლიერებასა და საქმიანობას, სამოქალაქო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით.

მისასალმებელი ღონისძიების ფარგლებში, სტუმრები ასტურიასის სხვადასხვა რეგიონში დაპატიჟეს, სადაც მათ სოფლის მეურნეობასა და ლანდშაფტის მენეჯმენტთან დაკავშირებული გამოწვევები გაუზიარეს. გარდა ამისა, ისაუბრეს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდა მეწარმეების მიერ სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების საკუთარ თავზე აღებისა და ოჯახური მამულის სამხარეო „ბუტიკური ტურიზმისათვის“ გაცოცხლების მნიშვნელობაზე.

ღონისძიების მეორე დღეს, ოფიციალური გახსნის შემდეგ, დელეგატებმა მოისმინეს მნიშვნელოვანი გამოსვლები სოფლად მცხოვრები თემის მიერ საკუთარ რესურსებზე კონტროლის კვლავ ხელში აღებისა და იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც მდგრად განვითარებას უშლიან ხელს. ევროკომისიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორის მოადგილემ, მიჰაილ დუმიტრუმ მოხსენება გააკეთა „ევროპის სამხარეო პოლიტიკასა და სოფლად მცხოვრებ თემებზე. სამხარეო განვითარების მომავალზე 2020 წლის შემდგომ“. მან ხაზი გაუსვა სამხარეო ევროპის მნიშვნელობას არსებული კლიმატური კრიზისის პირობებში და გაიხსენა ევროკომისიის ახლადარჩეული პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლეიენის მიერ გამოქვეყნებულ პოლიტიკის გზამკვლევი, რომელშიც ევროპის ქალაქგარე დასახლებების მნიშვნელობას აქვს ხაზი გასმული.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა და გადაწყვეტილებები, ურბანული და სამხარეო გარემოს ერთმანეთთან კვლავ დაკავშირება, „ჭკვიანი“ სოფელი და სამხარეო ტურიზმი, აგროპოლიტი და მეტროპოლიტი სოფლები, კლიმატური ცვლილება და ეკო-სოფლების არსებობის მნიშვნელობა, LEADER ლაგების არეალში ურბანული სამეზობლოები – ჩამოთვლილი, მათ შორის, იყო ოფიციალური გამოსვლებისა და დისკუსიების მთავარი თემები. „ინიციატივების ბაზრის“ სხვადასხვა სტენდზე გამართული სიღრმისეული დისკუსიების შედეგად, ღონისძიებამ დამსწრე საზოგადოებას ახალი კონტაქტების შეძენის შესაძლებლობაც მისცა.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA
Chemonics Development works here.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის ბანაკი ყვარელში გაიმართა

2019 წლის 3-10 ნოემბერს, USAID Zrda პროექტის ფარგლებში მიმდინარე RDFG-ის რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის სამეწარმეო ბანაკი იუსტიციის სასწავლო ცენტრში, ქალაქ ყვარელში გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, პროექტის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ RDFG-ის ტრენერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს, ასევე, შეხვედროდნენ სამეწარმეო სფეროში მოღვაწე ადამიანებს კერძო ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო სტრუქტურებიდან.

ჯამში ტრენინგში ჩართული იყო USAID ზრდა პროექტის 9 სამიზნე მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი 15 საპროექტო წინადადების ავტორები (სულ 17 ადამიანი), რომელთაც სამეწარმეო ბანაკის შემდეგ, თავიანთ პროექტებზე მუშაობის დასასრულებლად 2 კვირა ექნებათ.

ბანაკის ფარგლებში, პროექტის მონაწილეები ინტენსიურ ტრენინგებს დაესწრნენ, რომლებსაც მასტერ ტრენერის, თეა მხეიძის მიერ სპეციალურად ამ პროექტისთვის გადამზადებული ტრენერები უძღვებოდნენ. აღნიშნულის გარდა, სამეწარმეო ბანაკში მოწვეულმა სტუმრებმა, პროექტის ფარგლებში RDFG-ის ფინანსურმა კონსულტანტმა – ბესო ტრაპაიძემ, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს (ARDA) წარმომადგენელმა – ქეთევან ლაცაბიძემ და ციფრული კომპანია რედბერის დამფუძნებელმა და მმართველმა პარტნიორმა – ლევან კეცხოველმა ისაუბრეს ფინანსური უწყისების მნიშვნელობასა და მათ მომზადებაზე, სოფლის მეურნეობასა და სამხარეო განვითარებაზე ფოკუსირებული პროექტების დაფინანსების შესაძლებლობებსა და პროდუქტის ციფრულ სამყაროში რეალიზებაზე – ციფრულ მარკეტინგსა და გაყიდვებზე.

რეგიონული ახალგაზრდული სამეწარმეო პროექტის პირველი ფაზის ფარგლებში, 5 გამარჯვებული პროექტი უკვე შეირჩა, რომლებიც შესაბამისად დაჯილდოვდნენ საგრანტო თანხებით: 10 000 ლარი, 6 000 ლარი, 6 462 ლარი, 3 600 ლარი და 3 000 ლარი. პროგრამის მონაწილეებმა ბიზნეს იდეები სხვადასხვა მიმართულებით წარადგინეს: ჭვავისა და წიწიბურის პურისა და ორცხობილის წარმოება – გორი; სუკულენტების წარმოება – ზუგდიდი; ტრადიციული ქართული ფოლკლორული საკრავების წარმოება – კასპი; პიკანტური ჯემების წარმოება – ასპინძა; მცირე მასშტაბის სამკერვალოს ხელშეწყობა – ადიგენი.

ამ ეტაპზე, პროექტის მეორე ფაზის მონაწილეები თავიანთი ბიზნეს იდეების დასრულებასა და „პიჩის“ მომზადებაზე მუშაობენ იმისთვის, რომ 2019 წლის დეკემბერში შესაბამისი განაცხადი გააკეთონ. პროგრამის მეორე ფაზის საბოლოო ეტაპზე, საგრანტო კომისია გამოავლენს გამარჯვებულ ბიზნეს პროექტებს, რომლებიც დაჯილდოვდებიან საგრანტო თანხებით, თითოეული არაუმეტეს 10 000 ლარისა.

ქალაქ ბათუმს ახალი სახანძრო კიბე გადაეცემა

2019 წლის 19 ნოემბერს, ასოციაციამ სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) ხელი მოაწერა პროექტს, რომლის ფარგლებშიც ქალაქ ბათუმს ახალი სახანძრო ავტოკიბე (კალათით) გადაეცემა. პროექტი "ბათუმისთვის სახანძრო მანქანა-კიბით უზრუნველყოფის შესახებ" ხორციელდება საქართველოში იაპონიის საელჩოს, იაპონიის მთავრობის გრასრუტის, ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო დახმარების (GGP) პროგრამისა და ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრის თანამშრომლობის შედეგად. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შესაძლებლობების ზრდას საქართველოში.

საქართველოში იაპონიის საელჩოში გამართულ ღონისძიებას იაპონიის ელჩმა ტადაჰარუ უეჰარამ უმასპინძლა. ღონისძიებას ასევე დაესწრნენ საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მათ შორის: საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი და ასოციაციის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრის თავმჯდომარე ვანო გრიგოლაშვილი.

RDFG-სთან არსებული კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ცენტრი 2011 წელს დაარსდა. ცენტრის მიზანია თემის თვითმედეგობის გაზრდა და პრევენციის კულტურის ხელშეწყობა კატასტროფის მართვისა და კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ცნობიერების ამაღლების, შესაძლებლობების ზრდისა და ადგილობრივი მოსახლეობის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის აღნიშნული სფეროსთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფის გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, RDFG-ის DRR ცენტრის ძალისხმევა ფოკუსირებულია კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ ინფორმაციის გავრცელებაზე სკოლებში, ადგილობრივი თემის/მუნიციპალიტეტების კატასტროფის მართვის/კატასტროფის რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდასა და ეროვნული საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემის/სტრუქტურის გაძლიერებაზე.

RDFG-ის DRR ცენტრის დაარსება და ფუნქციონირება ხელს უწყობს ბუნებრივი გარემოს გაუმჯობესებასა და დაცვას, უსაფრთხო სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას და ინფორმირებული/ მომზადებული თემის ჩამოყალიბებას, რაც შედეგად მოგვცემს უფრო თვითმედეგ თემს და მის შემდგომ მდგრად განვითარებას.

RDFG აცხადებს ახალი ნაკადის მიღებას დასაქმების ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) აცხადებს ახალი ნაკადის მიღებას თეთრიწყაროში მცხოვრები სამუშაოს მაძიებლებისთვის, რომელთაც დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, პიროვნული და სოციალური უნარების გაძლიერებას სთავაზობს. პროგრამით გათვალისწინებული სესიები ქალაქ თეთრიწყაროს ახალგაზრდულ ცენტრში 2019 წლის 15 ნოემბრიდან დაიწყება. პროგრამის დასრულების შემდეგ, თითოეულ მონაწილეს სერტიფიკატი გადაეცემა. პროექტს RDFG ევროკავშირის ENPARD პროგრამის ფარგლებში ახორციელებს.

დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კორპორაციული მოხალისეების – დიდი ორგანიზაციების HR მენეჯერების ლექციები და ტრენინგებია, რომლებიც თანამედროვე შრომითი ბაზრის გამოწვევების შესახებ საუბრობენ და პროექტის მონაწილეებს თავიანთ გამოცდილებასა და წარმატების საიდუმლოს უზიარებენ. პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი კადრების არსებობის შემთხვევაში, მოწვეული HR-ები პროექტის მონაწილეებს ადგილზევე დაასაქმებენ.

პიროვნული უნარების გაძლიერების მიზნით, დასაქმების პროგრამის მონაწილეებს სესიებს შემდეგ თემებზე მოისმენენ: ემოციური ინტელექტი, ვერბალური და არა ვერბალური კომუნიკაცია, სხეულის ენა, თვითშეფასება, რწმენა საკუთარ თავში, კომუნიკაციის ფსიქოლოგია, ადამიანი, გარემო, განვითარება, კომფორტის ზონა, რატომ და როგორ უნდა დავტოვოთ ის, ფორმალური და არაფორმალური განათლება, თვითრეალიზება, დროის მენეჯმენტი. სოციალური უნარების განვითარების მიზნით კი, პროგრამის მონაწილეები სესიებს შემდეგ თემებზე მოისმენენ: სად და როგორ ვისწავლოთ/სად და როგორ გამოვიმუშაოთ უნარები, პერსონალური ბრენდინგი, მსოფლიოში არსებული ტენდენციები, პროფესიების შეფასება და სხვადასხვა გათვლა, საკუთარი თავის წარდგენა, მოთხოვნა – მიწოდება თანამედროვე შრომით ბაზარზე, თანამედროვე შრომითი ბაზრის გამოწვევები, სამოქმედო გეგმა, CV, სამოტივაციო წერილი, გასაუბრების ტექნიკები, თვითპრეზენტაცია, პროექტის წერა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სოფლის მდგრადი განვითარება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში“ ევროკავშირის პარტნიორი ასოციაციის „სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) მიერ ხორციელდება. პროექტი, მიზნად თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს, რაც ინოვაციური სოციო-ეკონომიკური მოდელების დანერგვითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენელების ჩართვის მეშვეობით მიიღწევა. ამ მიზნით, RDFG თანამშრომლობს აგრო-ტექონოლოგიების ასოციაციასთან (ATA) და ლიეტუვის ადგილობრივი განვითრების ჯგუფების ქსელთან (VVGT).

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE
პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA
Chemonics Development works here.

RDFG-ისა და მასთან არსებული DRR ცენტრის ორგანიზებით, შეხვედრები გაიმართა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერიების წარმომადგენლებთან

2019 წლის 11 ნოემბერს, ასოციაცის სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG) და მასთან არსებული კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრის (DRR Center) ორგანიზებით, სამუშაო-გაცნობითი შეხვედრები გაიმართა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მერებთან და მერიების წარმომადგენლებთან. შეხვედრების ძირითადი მიზანი იყო საქართველოში USAID-ის ზრდა პროექტის ფარგლებში შერჩეულ რეგიონებში კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული აქტივობებისა და სამომავლო გეგმების განხილვა. შეხვედრას უძღვებოდა RDFG-ის საგანგებო სიტუაციების მართვისა და კატასტროფის რისკის შემცირების ექსპერტი შოთა კუბლაშვილი.

შეხვედრაზე იმსჯელეს ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რისკების შესახებ და მუნიციპალურ დონეზე მათი მართვის გეგმის შემუშავებაზე. ღონისძიების ფარგლებში, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა შემდგომი თანამშრომლობისა და მათი რესურსებიდან გამომდინარე, სრული მხარდაჭერისა და მობილიზების სურვილი გამოთქვეს.

ახალქალაქში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ახალქალაქის მერი იურიკ უნანიანი, მისი პირველი მოადგილე არმენ მარანგოზიანი, USAID-ის ზრდა პროექტის რეგიონული წარმომადგენელი ვაღარშაკშ შახბეკიანი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენელი გრიგორ სტეპანიანი.

ნინოწმინდაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ნინოწმინდის მერი ანივარდ მოსოიანი, მისი პირველი მოადგილე ალექსანდრე მიქელაძე, USAID-ის ზრდა პროექტის რეგიონული წარმომადგენელი, ვაღარშაკშ შახბეკიანი და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენელი ვაჰან მასგარიანი.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროგრამა ზრდა (Zrda Activity in Georgia) მიზნად ისახავს საქართველოს შერჩეულ რეგიონებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. რადგან, მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა შეუძლებელია უსაფრთხო გარემოს შექმნის გარეშე, პროექტი შეიცავს კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებებს მუნიციპალურ დონეზე, რაც გამოიხატება თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მუნიციპალური საგანგებო მართვის გეგმების შემუშავების ხელშეწყობაში, ინსტრუქციების დონეზე შესაბამისი მეთოდიკის დანერგვასა და განხორციელებაში. პროექტის ფარგლებში, კატასტროსფის რისკის შემცირებისათვის დაგეგმილ აქტივობებს ახორციელებს „ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის“ (RDFG) და მასთან არსებული კატასტროფის რისკის შემცირების ცენტრი (DRR Center).

ასოციაცია სამხარეო განვითარება მომავალი საქართველოსთვის (RDFG)

კონტაქტი

0322 24 05 01

info@rdfg.ge

www.rdfg.ge

https://www.facebook.com/WWW.RDFG.GE/

https://www.linkedin.com/company/rdfg---rural-development-for-future-georgia

გაბრიელ ისაკაძის ქ. 4, საქართველო, თბილისი 0160